



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები (ინგლისურენოვანი)
პროგრამის ხელმძღვანელი	ივანნა მაჩიტაძე, ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი ელ.ფოსტა: imachitidze@ibsu.edu.ge საკონტაქტო ტელეფონი: +995 32 2595005 (121) მობ: +995 599 232 292
სწავლების საფეხური	ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)
სწავლების ენა	ინგლისური
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური, ძირითადი
კრედიტების რაოდენობა	პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს , რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად: <ul style="list-style-type: none"> • 110 ECTS – სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (მათ შორის: სტაჟირება ან საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი); • 30 ECTS – უცხო ენის კომპონენტი; • 5 ECTS – ინფორმაციული ტექნოლოგიები; • 5 ECTS – აკადემიური წერა; • 20 ECTS – სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები; • 60 ECTS – დამატებითი სპეციალობა (სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს მისთვის სასურველი დამატებითი სპეციალობა ნებისმიერი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან შესაბამისი სასწავლო ენის მიხედვით) / თავისუფალი კრედიტები. • 10 ECTS – თავისუფალი კრედიტები. <p>სტუდენტი უფლებამოსილია დამატებითი სპეციალობა ჩაანაცვლოს თავისუფალი კრედიტებით, რაც მას მისცემს საშუალებას აირჩიოს და ისწავლოს მისთვის საინტერესო სასწავლო კურსები.</p>
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში (0705) Bachelor of Social Sciences in International Relations (0705)
დაშვების წინაპირობები	პროგრამაზე სტუდენტი დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტებმა მიიღონ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>განათლება პოლიტიკური მეცნიერებების, ეკონომიკური და სამართლებრივი დისციპლინების შესწავლის მეშვეობით. პროგრამა ერთმანეთთან აკავშირებს საერთაშორისო ურთიერთობების დარგის თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების მზარდი მოთხოვნების შესაბამისად. ის ითვალისწინებს წარმატებულ კურსდამთავრებულთა დასაქმებით უზრუნველყოფას როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს უფითარებს კრიტიკულ აზროვნებას და შესაძლებლობას აძლევს დაეუფლონ როგორც ზოგად, ასევე პროფესიულ ინგლისურ ენას. დიდი ყურადღება ეთმობა კვლევის დიზაინის ძირითადი ელემენტების, საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებისა და ევროინტეგრაციის პოლიტიკის სწავლებას.</p> <p>პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს პოლიტიკური აზრის ისტორიას, პოლიტიკურ იდეოლოგიებს, პოლიტიკურ მეცნიერებებს, შედარებით პოლიტიკას, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიასა და თეორიას, საერთაშორისო ორგანიზაციებს, მოლაპარაკებებსა და კონფლიქტების გადაწყვეტას, გეოპოლიტიკას და ა.შ. თავის მხრივ, ზემოთხსენებული საგნების გავლისთვის საჭირო წინაპირობას ქმნის ისეთი სავალდებულო კურსების შესწავლა, როგორცაა: მსოფლიო ისტორია, ფილოსოფიის საფუძვლები და სოციოლოგია. ამასთანავე, სტუდენტები შეისწავლიან თანამედროვე ურთიერთობების ეკონომიკურ ასპექტებსა და სხვა საკვანძო საკითხებს, რომლებიც აყალიბებს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკას. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტებს უფლება აქვთ აირჩიონ სტაჟირების პროგრამა ან კურსი საბაკალავრო ნაშრომის წერის შესახებ.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> - სტუდენტს გააჩნია საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ საფუძვლიანი ცოდნა, შეუძლია აღნიშნული სფეროების თეორიული ასპექტების კრიტიკული გააზრება; - სტუდენტი ფლობს სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტის (სახელმწიფო სტრუქტურები, პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>მოდრაობა და სხვ.) როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ ცოდნას;</p> <ul style="list-style-type: none"> - სტუდენტი ფლობს ცოდნას მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ, რითაც მომავალი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი შეიქმნის მყარ საფუძველს თეორიული ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის; - სტუდენტს გააჩნია პოლიტიკური მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული სათანადო ტერმინოლოგიის ცოდნა; - სტუდენტი აცნობიერებს მსოფლიო პოლიტიკის სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში მიმდინარე მოვლენებს, ასევე ფლობს ცოდნას სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლის შესახებ. <p>სტუდენტი განივითარებს შემდეგ კომპეტენციებს, რაც დამოკიდებულია მის არჩევანზე დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი ან გაიაროს პრაქტიკა:</p> <ul style="list-style-type: none"> - ფლობს საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან თეორიებსა და კონცეფციებს, იცის მისი საგნის არსის სპეციფიკური მახასიათებლები, გზები თუ როგორ გაანალიზოს ემპირიული მასალა თეორიული ჩარჩოების გამოყენებით, მოკლედ და კონკრეტულად იძლევა რეკომენდაციებს, პროგნოზირებებსა და გეგმებს; - ესმის დავალების არსი და სირთულე, სტაჟირების პროცესში აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, იცის თუ როგორ განსაზღვროს დავალებისთვის პრიორიტეტები, კრეატიულად უდგება მის საქმეს, იძიებს საჭირო ინფორმაციას მოცემული დავალებისთვის და ამზადებს ანალიტიკური და სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტებს, აანალიზებს და განმარტავს მოცემულ სიტუაციებს, აგროვებს შესაბამის მონაცემებს, აყალიბებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, და იცის თუ როგორ განსაზღვროს კარიერის მიზნები სამუშაო გამოცდილების და პროფესიული უნარების შეძენის საფუძველზე. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> - სტუდენტს შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სამეცნიერო ხელმძღვანელის მხრიდან მიღებული მითითებების შესაბამისად კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება. - სტუდენტს შესწევს უნარი სწავლის პროცესში მიღებული ცოდნა და უნარები გამოიყენოს კონკრეტული პრობლემის
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის მიმართულებით, შესაბამისი წყაროს მოძიების, განმარტებისა და გამოყენების მეშვეობით;</p> <ul style="list-style-type: none"> - სტუდენტი ფლობს პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავების უნარს, ამასთან, შეუძლია გაითვალისწინოს საზოგადოებრივი ინტერესები, ღირებულებები, აგრეთვე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები; - სტუდენტს აქვს მიღებული ცოდნის საფუძველზე მუშაობის პროცესში პრობლემის დანახვის და პრობლემის არსის განსაზღვრის უნარი; - სტუდენტს გააჩნია პრობლემის გადასაჭრელად საჭირო ინფორმაციის მოძიების, ასევე პრობლემის გადაჭრის გზის დასახვისა და ამ გზის შესახებ თეორიული მსჯელობის არგუმენტირებულად ჩამოყალიბების უნარი; - სტუდენტს აქვს კონკრეტული სიტუაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების იდენტიფიცირებისა და გამოყენების უნარი. <p>სტუდენტი განივითარებს შემდეგ კომპეტენციებს, რაც დამოკიდებულია მის არჩევანზე დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი ან გაიაროს პრაქტიკა:</p> <ul style="list-style-type: none"> - ჩაატაროს კვლევა ეტაპობრივად, მოცემული მითითებების გათვალისწინებით; მოახდინოს ეფექტური ორგანიზება და შეასრულოს ანალიტიკური სახის დავალებები, რომლებიც დიდია მოცულობით და შეზღუდულია დროში; საბაკალავრო ნაშრომის წერისას განივითაროს და გამოიყენოს მიღებული ცოდნა შემდგომი კვლევებისათვის; - გამოიყენოს კომპეტენციები, რომლებსაც ის განივითარებს სტაჟირების დროს გარკვეული სახის დავალებების შესრულებისას და შეიმუშაოს შესაბამისი ტიპის დოკუმენტები საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში; მიღებული ცოდნის საფუძველზე გაითვალისწინოს და განსაზღვროს პრობლემები; გამოიყენოს მნიშვნელოვანი უნარები კონკრეტული დავალების მოსაგვარებლად; <p>დასკვნის უნარი: სტუდენტს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - შეაგროვოს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული მასალები მათი შემდგომში დამუშავების მიზნით; - საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ინფორმაციის მიღება და გადამუშავება, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, მონაცემთა ინტერპრეტაცია; - პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება და დაცვა, შესაბამისი დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> - მიმდინარე მოვლენებზე არსებული ინფორმაციის შეგროვება და ანალიტიკური და სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტების მომზადება; - საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე გამოყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; - შესწევს უნარი, დაადგინოს ინფორმაციის წყაროები. იცის ბიბლიოგრაფიასთან მუშაობა, შეუძლია მოიძიოს როგორც ქალაქში არსებული, ასევე ინტერნეტ სივრცეში განთავსებული ინფორმაცია. <p>სტუდენტი განივითარებს შემდეგ კომპეტენციებს, რაც დამოკიდებულია მის არჩევანზე დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი ან გაიაროს პრაქტიკა:</p> <ul style="list-style-type: none"> - კრიტიკულად შეაფასოს სხვადასხვა აზრი, პარადიგმები, ტრადიციები, მიდგომები, ინტერპრეტაციები და შესაბამისად ჩამოაყალიბოს საკუთარი პოზიცია; გაითვალისწინოს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემები და შესაბამისი უნარებითა და ცოდნით მოაგვაროს ისინი; შეიმუშაოს შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები პოლიტიკის შესახებ; - მოიძიოს სტაჟირების მიზნისთვის საჭირო ინფორმაცია; კარიერული განვითარების მიზნით შეიმუშაოს კარიერული გეგმები; იმუშაოს მენტორის ხელმძღვანელობით, ჩამოაყალიბოს დასკვნა/გადაწყვეტილება მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე; მიიღოს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მისი მოვალეობის შესრულებისას. <p>კომუნიკაციის უნარი:</p> <p>სტუდენტი კომპეტენტურია თავის სპეციალობაში და აქედან გამომდინარე შეუძლია საქმიანი დისკუსიის წარმართვა;</p> <ul style="list-style-type: none"> - სტუდენტს შეუძლია ინგლისურ და ქართულ ენაზე პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული იდეების, კონცეფციების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის და სხვა შესაბამისი ხასიათის დოკუმენტაციის მომზადება და შესაბამისი დაინტერესებული პირებისათვის დოკუმენტში არსებული ძირითადი ასპექტების ზეპირი პრეზენტაცია. <p>უცხო ენაზე:</p>
--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მ-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> - შეუძლია ინგლისურ ენაზე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში კონკრეტულ საკითხზე კვლევის განხორციელება (სტატიის დაწერა, საერთაშორისო პოლიტიკის პრობლემების გაანალიზება, კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლა და ა.შ.); - სწავლის პერიოდში არჩეულ ერთ-ერთ უცხო ენაზე შეუძლია გადასცეს ინფორმაცია და წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება უცხოელ პარტნიორთან ურთიერთობის პროცესში, ასევე მოისმინოს უცხოელი პარტნიორის მოსაზრება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, გააჩნია უნარი გაითვალისწინოს და პატივი სცეს დისკუსიის პროცესში მონაწილეთა პოზიციას. <p>ვერბალური კომუნიკაცია: სტუდენტს:</p> <ul style="list-style-type: none"> - აქვს საკუთარი პოზიციის ნათლად და დეტალურად გადმოცემის უნარი; - გააჩნია დებატებში მონაწილეობისა და საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარი; - შეუძლია წერილობით დოკუმენტებში ასახული ინფორმაციის ზეპირი პრეზენტაცია; - შეუძლია მოსმენილი ინფორმაციიდან მნიშვნელოვანი ნაწილების გამოყოფა და მათი დამუშავებული სახით ზეპირად გადაცემა. <p>წერილობითი კომუნიკაცია: სტუდენტს:</p> <ul style="list-style-type: none"> - აქვს განსხვავებულ საკითხებთან დაკავშირებით დეტალური წერილობითი ანგარიშისა და ანალიტიკური ხასიათის მასალის მომზადების უნარი; - გააჩნია წერის აკადემიური სტანდარტების გამოყენების უნარი; - შეუძლია არგუმენტირებული მოსაზრების წერილობითი სახით ჩამოყალიბება; - შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა დიპლომატიური და პოლიტიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით; - შეუძლია დიდი მოცულობის მქონე ინფორმაციიდან მნიშვნელოვანი ნაწილების გამოყოფა და წერილობით ასახვა. <p>საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება:</p> <ul style="list-style-type: none"> - თანამედროვე პერიოდში არსებული რეალობის გათვალისწინებით სტუდენტი იცნობს და თავისუფლად იყენებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; - სტუდენტს შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, პრეზენტაციებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> - სტუდენტს გააჩნია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული შესაბამისი საინფორმაციო ბაზებისა და პროგრამების გამოყენების უნარი. <p>სტუდენტი განივითარებს შემდეგ კომპეტენციებს, რაც დამოკიდებულია მის არჩევანზე დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი ან გაიაროს პრაქტიკა:</p> <ul style="list-style-type: none"> - შეუძლია მოამზადოს ვრცელი, სტრუქტურული კვლევა წერილობითი ფორმით; იმსჯელოს და მართოს დისკუსიები თეზისის დაცვის დროს, უპასუხოს კრიტიკულ შეკითხვებს და დაასაბუთოს მისი განმარტებები; - აქვს უნარი ზეპირად წარადგინოს პრეზენტაცია ან სტაჟირებისას მენტორის მიერ დავალებული სიტყვიერი გამოსვლები; შეუძლია გადმოსცეს პოზიცია/ არგუმენტები ჯგუფის/თანამშრომლების/ სტაჟირების წევრებში გარკვეული პრობლემების მოსაგვარებლად. <p>სწავლის უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> - სტუდენტს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დეტალური გათვითცნობიერება, კონკრეტულ სასწავლო სემესტრში არსებული სალექციო კურსების შესაბამისად შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს კონკრეტული სალექციო კურსის გარშემო ცოდნის გაღრმავებას; - შეუძლია დამოუკიდებლად მოიპოვოს შესაბამისი ლიტერატურა, მათ შორის, ელექტრონული მასალა და შესაბამისი წყაროების გამოყენებით, აიმაღლოს ცოდნა და კვალიფიკაცია, ინდივიდუალურად იმუშაოს შესაბამის დისციპლინაში არსებულ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურასთან. <p>კითხვა – დამოუკიდებლად და სწრაფად შეუძლია ინგლისურ ენაზე სხვადასხვა თემებზე დაწერილი ან გამოქვეყნებული ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება.</p> <p>წერა – შეუძლია ინგლისურ ენაზე წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრებები და პოზიცია სხვადასხვა თემებზე; შეუძლია ანგარიშის და ანალიტიკური ხასიათის მასალის მომზადება, წერილობითი პოზიციის დაფიქსირება სხვადასხვა შეხედულებებთან დაკავშირებით.</p> <p>სტუდენტი განივითარებს შემდეგ კომპეტენციებს, რაც დამოკიდებულია მის არჩევანზე დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი ან გაიაროს პრაქტიკა:</p>
--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> - მიუახლოვდეს საკვლევ თემას სხვადასხვა მოსაზრებებიდან გამომდინარე; შეასრულოს ინტენსიური კვლევითი სამუშაოები და მათი შედეგები შეზღუდულ დროში; გამოიყენოს თანამედროვე აპლიკაციები, კვლევის სისტემები, აკადემიური წყაროების მონაცემთა ბაზები კვლევაზე ან ნაშრომზე მოშაობის დროს; - შეაფასოს საკუთარი საქმიანობა; დამოუკიდებლად მოიძიოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, დასახოს გეგმა და დაასაბუთოს ის შესაბამისი მოსაზრებებით, რომ დროულად მოხდეს პრობლემის აღმოფხვრა; დასახოს სამუშაო გეგმა მოცემული დავალების შესასრულებლად, გამოამყვანოს თვით-შეფასების უნარი; ისწავლოს თუ როგორ შეუთავსოს ერთმანეთს დამოუკიდებელი და ჯგუფური სამუშაო სტაჟირების პროცესში. <p>ღირებულებები:</p> <ul style="list-style-type: none"> - სტუდენტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკის და დიპლომატიის სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად; - სტუდენტს გამომუშავებული აქვს იმ ეთიკური პრობლემების ამოცნობის, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დაცვის უნარი, რომელსაც ადგილი აქვს დიპლომატიასა და პოლიტიკის სფეროში; - სტუდენტი აცნობიერებს სამართლებრივი, ეთიკური და კულტურული პასუხისმგებლობის როლს ორგანიზაციაში და საზოგადოებაში, გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა; - სტუდენტი მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად; - სტუდენტს აქვს მაღალი საზოგადოებრივი თვითშეგნებისა და მოქალაქეობრივი მოვალეობა; - სტუდენტი პატივს სცემს თანამედროვე მსოფლიოში დამკვიდრებულ დემოკრატიულ ფასეულობებს და მოქმედებს მათ შესაბამისად. <p>სტუდენტი განივითარებს შემდეგ კომპეტენციებს, რაც დამოკიდებულია მის არჩევანზე დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი ან გაიაროს პრაქტიკა:</p> <ul style="list-style-type: none"> - პატივს სცემს როგორც აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს, ასევე სხვადასხვა მეცნიერულ და მეთოდოლოგიურ მიდგომებს; - წვლილი შეაქვს ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში და იცავს მათ მთელი პროფესიული განვითარების პროცესში; პატივს სცემს სტაჟირებისას ჩამოყალიბებულ კორპორატიულ ღირებულებებს და სამუშაო ადგილზე თუ პოლიტიკაში არსებული
--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>მოსაზრებებისა და პოზიციების სხვადასხვაობას, და იცავს მათ მთელი პროფესიული განვითარების განმავლობაში.</p>
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა; 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა; 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; 2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:</p> <p>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;</p> <p>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.</p> <p>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფასებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.</p>
<p>დასაქმების სფერო</p>	<p>საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულთა მაღალი დონის კონკურენტუნარიანობას და დასაქმების ბაზარზე ზრდადი მოთხოვნების დააკმაყოფილებას. სწორედ ამ მიზნით, პროგრამის შინაარსი შემუშავებულია როგორც გამოცდილი აკადემიური და ადმინისტრაციული შტატის, აგრეთვე პოტენციური დამსაქმებლების რეკომენდაციებითა და შეფასებებით. ბაკალავრის ხარისხის მინიჭებიდან, კურსდამთავრებულს აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი კვალიფიკაცია, რომ დასაქმდეს საერთაშორისო ორგანიზაციებში, შესაბამის საჯარო (მაგ.: პროფილურ სამინისტროებში, როგორცაა საგარეო საქმეთა სამინისტრო ან სხვა დეპარტამენტის სტრუქტურებში, რომლებიც ჩართულნი არიან საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის საკითხებში, და ასევე დასაქმდნენ საელჩოებში) და კერძო სექტორის (არასამთავრობო და კვლევით ორგანიზაციებსა თუ ცენტრებში) სტრუქტურებში, რომლებიც ჩართულნი არიან საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა სფეროში. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უფლებას აძლევს კურსდამთავრებულს განაგრძონ აკადემიური განვითარება და ისწავლონ სამაგისტრო და შემდეგ სადოქტორო საფეხურებზე.</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge